სახალხო გაზეთი

№ 604 სამშაბათი, 22 მაისი, 1912 წ. № 604

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიკაის ქ., ს. სტოვიხა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; [illegible] წერილები და კორესპონდენციები სულ ... [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

27 მაისს, „ახალ კლუბის" ბაღში გაიმართება

სეირნობა ბუზრით

საზოგადოების გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ქართველ საზოგადოებას **დახმარებას.** ყოველივე წვლილი დიდი [illegible] ... სადლობით იქნება მიღებული. შემოწირულება მიიღება „საზოგადოების" კანცელარიაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამ[illegible] ... ღე, საღამოს 6—9 საათამდე. (0.1254.9)

დღევანდელ ნოემერში 16 გვერდია ტფილისის სათავად-აზნაურ[illegible] საადგილ-მამულო ბანკის განცხადებებიანად (1—1271—1)

ხვალ, 23 მაისს, გარდაცვალების დღეს,

მარია თავ. ზაქარია ამილახვრის ასულის

ეგაძის

სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი სამთავისის სობოროში. (1.469.1)

თავადნი ალექსანდრე და **ნიკოლოზ ლევანის ძენი, ელენე ლევანის ასული ჯორჯაძენი** და **ნინა ლევანის ასული ყარალაშვილისა,** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დაუვიწყარ დედის

ბარბარე დავითის ასულის ჯორჯაძის

გარდაცვალებას. გაასვენებენ დღეს, 22 მაისს, წირვის და პანაშვიდის შემდეგ ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიიდან კუკიის სასაფლაოზე. (1.475.1)

კიევის უნივერსიტეტის სტუდენტის

დომენტი იუსტინე | ნიკოლოზის ძის | ურუშაძის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს დანიშნულია წირვა და პანაშვიდი **დ. ლანჩხუთში,** წმიდა გიორგის ეკლესიაში, განსვენებულის სულის მოსახსენებლად ამა მაისის 22 რიცხვს, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **მამა, დედა** და **ძმები** განსვენებულისა. (1.477.1)

---

21 მაისს, დილის 4 საათზე გარდაიცვალა

ალალო ათანასის ძე თუთაევი,

რასაც დიდის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ შვილი მისი **დავით თუთაევი.** პანაშვიდი დღეს, 22 მაისს, ნაშუადღევის 4½ საათზე. დღეს საღამოსვე 6½ საათზე განსვენებულს წაასვენებენ ქ. გორში. გამოსვენება საკუთარ სახლიდგან: ელისაბედის ქ. დიდუბეში. (1.14.1)

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

ხუთშაბათს, 24 მაისს, ქართ. მსახიობთა მიერ **ვ. აბაშიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ზ. ანტონოვის ცნობილი ორიგინალური პიესა

1) მზის დაგნელება საქართველოში, კომ. 3 მოქმედ.

მეორე მოქმედებაში: მეზურნეები, ბაღდადური, ლეკური და სხვ.

2) მრუდე სარკე, ღალატი, შარჟი, 2 სურათ. გოლისი.

მონაწილეობენ: ქ-ნნი პიერეტა, ჩერქეზიშვილი, ვიქტორელი, ნენიერიძე, ბეჟანოვა. ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, მესხი, არადელი-ი-ბზნელი, ყივიძე, იორდანიშვილი და სხ.

ადგილების ფასი დაკლებულია. ბილეთ. უკვე იყიდება თეატრის კასაში. **დასაწყ. საღ. 8-ნახ. ს.**

3—128 —1 რეჟისორი **აბაშიძე.** ადმინისტრატორი **იორდანიშვილი.**

სახალხო თეატრი

ორშაბათს, 28 მაისს,

დანიშნულია მხოლოდ ერთი კონცერტი სამხატვრო კაპელის ცნობილ კომპოზიტორის

ვასილ გრიგორის ძე ზავადსკისა.

შეასრულებენ გუნდის სამღერ ნაწარმოებს: ჩაიკოვსკისა, რიმსკი-კორსაკოვისა, რუბინშტეინისა, ჰენა, გრეჩანინოვისა, აბატისა, ჩესნოკოვისა და სხვა კომპოზიტორთა.

გუნდში 40 კაცია. დაწვრილებით აფიშებში. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

(2—474—1) რწმუნებული **ე. პ. ჩაროვისა.**

№ 43 **ძმ. ზუბალაშვილების სახელოვნების სახ. სახლი.** № 103.

ზ. ს. ს. ს. ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე.

ხუთშაბათს, 24 მაისს 1912 წ. წრის სცენის მოყვარეთა დასის მიერ **ა. იმედაშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

„მეზობლები". დრამა 4 მოქმედ. ტრ. რამიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ბეჟანოვა, გამრეკელი-ტორელი, ტანელი, რომანიშვილი-დგებუაძე, ა. ქიქოძე, ბ-ნნი დ. ბაქრაძე, ნ. გოცირიძე, ა. იმედაშვილი, მ. ინაშვილი, ა. მეტრეველი, ა. ნარი, მაჭავარიანი, კ. ხახანაშვილი, ჭიაურელი, ნ. ქამკვეტაძე. დასწ. საღ. 8½ ს. ადგილების ფასი ნ კ. 50 კ.-მდე. მზადდება წარმოსადგენად: „გაზაფხულის ნიაღვარი".

რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** ადმინისტრატორი **სვ. ჯაფარიძე.**

(5.1214.3) მორიგი წევრი **ს. თავდიშვილი.**

ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

ყურადღება მიაქციონ

ახლად გამოსულ პაპიროსებს

„ირის",

25 ცალი 15 კ. ¼ 10 ც.—6 კ.

საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა, ნაწი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

ყველგან იყიდება.

თამბაქ. ქარხანა

„ძმ. სეილანოვები"

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42.

(100.1036.46)

საჭიროა გაზეთების გამყიდველი აგენტები

ჟურნალ-გაზეთების მგზავნელ ბიუროსთვის: **ფოთში, სამტრედიაში, სენაკში, ზუგდიდში** და **ლანჩხუთში.**

მისამართი: ტფილისი, გაზ. „ზაკავკაზსკაია რეჩი", ერ. გორდელაძეს. (5—3)

განცხადება.

საჭიროა ადგილობრივ და სატახტო ჟურნალ-გაზეთების **დამტარებლები:**

„ბორჯომში", „ცაგვერში", „ცემში", „ბაკურიანში" და „აბასთუმანში". (4 1268.4) ბორჯომის აგენტი **ყ. კოპალეიშვილი.**

პირველ თიბათვიდან (ივნისიდან)

ქ. გორში

გამოვა ყოველ დღიური სალიტერატურო სავაჭრო და სამეურნეო საგლეხო **გაზეთი**

„ქართლი"

ყოველ კვირეულ სურათებიან დამატებით.

ფასი გაზეთისა **დამატებით** წელიწადში ხუთი მანათი, **უდამატებოდ** ოთხი მანათი, თვიურად ცხრა შაური **ცალკე ნომერი ყველგან სამი კაპეიკი.** დაწვრილებით შემდეგ.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ეკალაძე-ცინცაძე.**

მისამართი: ქ. გორი, რედაქცია „ქართლი". (5.1276.3)

ავლაბრის ქართულ სცენის მოყვარეთა სექციასთან უკვე დაარსდა

ქართველ მომღერალთა გუნდი

ბ-ნ ვ. მათურელის [illegible] ... ბრობა. გუნდის [illegible] რებლად, წრის მმართველი გამგეობა, იწვევს მსურველთ მიიღონ მონაწილეობა გუნდში. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ გამგეობის თავმჯდომარეს **ბ. თ. ზ. ნასიძეს** ყოველ დღე 5—7 საათამდე საღამოთი—ავლაბარი, შემახის ქუჩა № 5. ან და „ახალი კლუბის" კანტორაში—დილის 9—11 საათამდე. (4 430—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძლენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი სნეულ.	**ა. ამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
	ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
	ბალალაშვილი ვ. ვ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
	მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. ვ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
საშინაო-ქირურ.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.
საზღვარ-ქირ.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	სულაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
	თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვ. ავადმყოფ.	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. ვ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. ფსიქ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
	ორეშმბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ფ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. და ვენერ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი სკუთარი სამიკროსკოპიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman**-რჩევისათვისა 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მიელების კაცეტერიზაცია; **„606" წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1027—341)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება ტლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები) სიფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12. საღამოს 5--7. (25.1045.113).

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ძაჯაია იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—95)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ.' № 20. (წ.—1022—59).

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ამა წლის პირველ ივნისიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ჩვენი ცხოვრება"

გაზეთი წლიურად ღირს	7 მან.	თვიურად ქუთაისში	— 80 კ.
წახევარის წლით	4 „	ქუთაისს გარეშე	— 90 „
სამი თვით	2 „ 10 კ.	საზღვარგარეშე წლიურად	14 მ. — „

ცალკე ნომერი ყველგან—**ერთი შაური.**

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—სამი შაური, უკანასკნელზე ორი შაური. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა სამი მანეთი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. სულაქველიძე.**

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Кутаисъ, Юстину Гавріиловичу Баланчивадзе. ფული მიიღება **მხოლოდ ბალანჩივაძის** სახელზე. რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თედორაძის სახლები № 6. (3—1270—3)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საუნი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 301)

დოკტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნებას, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1037 167)

ექიმი ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—80.

ექიმი ი. ი. ბ ე რ ი შ ვ ი ლ ი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ., № 94,** საფოსტო **განყოფი.** პირდაპირ. (25—1178—40)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

პროფ. სუბბოტინი. ქირურგ. ავად. კონსულტანტი, დამსახ. პროფ. სამხ. აკადორშ. ხუთშ. 3—4 ს. წინდაწინ ჩაწერვით.

ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

ბოგოვსკი. შინაგ. და ჰიპნ. 4—5 ს. ორშ., ოთხშ., პარასკ.. კვირ.

გრეიცი—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. ½ ს.

მონსე. ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ პარასკ. 2—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 საათ.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—1 ს.

რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.

ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

ბესსერი შინაგ., ნერვ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.

გურგენიძე შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს

საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. ვ. ი. სუბბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. (თ. 1234—8).

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. ბოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლოგა „606"-ი.

(წლ.—1018—271)

ექიმი ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathien-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067) (100—1117—157).

ექიმი ივ. გ ო ბ ა ო თ ე ლ ი მიიღებს ავადმყოფთ დაბა **ბორჯომში** პირველ თიბათვიდან—პირველ ენკენისთვემდი. (25.468.1.)

ექიმი კ ბ ი ლ ი ს ა ა. (ბ.) ბ. დოლიძე **გადავიდა ნაძალადევში** (რკ. გზ. ხიდთან ჩერქეზოვისა და ხუდადოვის ქუჩის კუთხეში № 145). სწამლობს კბილისა და ღრძილის ავადმყოფობას, აკეთებს პლომბებს და უდგავს ხელოვნურ კბილებს, **დილის 8—2 ს.-მდე** და **საღამოს 4—7 ს.** (თ.1179.36)

უმაღლესად ეგოძათ

ანნა მესამე ხარისხის ორდენი თავად **ინოკენტი იაშვილს.**

ავადმყოფობისა გამო სამსახურიდან დაითხოვეს ციმბირის მსროლელთა დივიზიის შეიხო ბრიგადის კამანდირი, გენერალ-მაიორი **მახათაძე.**

კოლეჟსკი სოვეტნიკობა ებოძა ბაქოს სამაზრო სასამართლოს განყოფილების მოსამართლის თანაშემწეს **ღვინიაშვილს.**

ტიტულიარნი სოვეტნიკობა ებოძა ტფილისის სამოსამართლო პალატის უმცროს მიწისმზომელს **ჟორდანიას.**

მენდალი წარწერით, „მუყაითობისათვის“ ებოძათ: ვერცხლისა, სტანისლავის ლენტით გულზე ჩამოსაკიდი გორის მაზრის სოფ. ზღუდერის მთავრობის მამასახლისს **ვასილ ხმალაძეს.** ტფილისის ოქრომჭედელთა მამასახლისს ტფილისის მდაბიო მოქალაქეს—**სვიმონ არჯევანიძეს.**

ტფილისის მოქალაქეს—**ესტატე მაისურაძეს.**

ქუთაისის გუბერნიის სოფ. მახაცხოვლის საზოგადოების მამასახლისს **ბართლომე ნიკოლეიშვილს.**

ოქროს მენდალი, გულზე სატარებლად, ლენქორანის მაზრის არაბბალა-ოღლანის მთავრობის მამასახლისს **გიორგი დუმბაძეს.**

გადაიყვანეს სიღნაღის მაზრის, სოფ. ქვემო-მაჩხანის ბოქაული ნადეორნი სოვეტნიკი **ნასიძე** წინანდალში, ხოლო წინანდალში მყოფი ბოქაული **ვოიტკევიჩი,** ქვემო-მაჩხაანში.

როგორ ვიდღესასწაულეთ თამარ მეფის იუბილეი

ჯერ კიდევ ამ რამდენიმე თვის წინად ჩვენს პრესაში დაიწყეს ლაპარაკი თამარ-მეფის სახელის პატივსაცემად იუბილეს მოწყობის შესახებ. შვიდასი წელიწადია, რაც გარდაიცვალა თამარი. ამ დიდებულ გვირგვინოსანის ღვაწლი და დამსახურება სამშობლოს წინაშე უსაზღვროა. და თანამედროვე ქართველობას შემთხვევა ეძლეოდა დაემტკიცებინა ეროვნული გრძნობის სიმწიფე და სულიერი კავშირი წარსულის დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მომენტთან. ასე სწერდნენ და ჰფიქრობდნენ გულუბრყვილო მწერლები ამ საგნის შესახებ. ჩვენს საზოგადოებაში არიან კიდევ თითო-ოროლა ილუზიონისტი, რომელთაც ჯერ კიდევ გული არ გასტეხიათ და დროგამოშვებით, დადუმებულ არე-მარეში, სიკეთესა და მოვალეობაზე იწყებენ ლაპარაკს...

აღიძრა თუ არა ლაპარაკი იუბილეს გადახდის საჭიროებაზედ, ინიციატორები ამ „შეუსაბამო“ ნატვრისა მოლოდინში იყვნენ, აცა საზოგადოება გახმაურდება, ხმას ამოიღებენ დაწესებულებანი, საზოგადოებანი და კორპორაციები, სიხარულით დაებღაუკებიან ამ აზრს და მოიწადინებენ მის განხორციელებას. მაგრამ დრო მიდიოდა. ხმა-კრინტი არსაიდან ისმოდა. კიდევ იწყებდნენ წერას: აბა, მამულიშვილნო, აჩქარდით, ველით, მოგვეცით ბანი, დავიწყოთ საქმე, შეადგინოთ კომიტეტი ან რაც საჭიროა ამისათვისო. შენც არ მომიკვდე! მამულიშვილნი არ შეწუხდნენ და ხმა არავინ ამოიღო. მაშ თქვენ, ქართველნო ქალებო, ტურფა ასულნო, თამარის სახელწოდებას რომ ატარებთ, თქვენი პირდაპირი მოვალეობაა მოიგონოთ დიდებული ქალი-მოღვაწე და საზოგადოებას გაახსენოთ ამ ქალის ქველობა და კარგობაო. მაგრამ, თამაროები, ჩვეულებრივად აპიკჩიკებულნი, ამ ჟამად დადუმდნენ, თითქოს წყალი ჩაიყენეს პირშიო. და „არსით ხმა, არსით ძახილი“.

გადის კიდევ რამდენიმე ხანი. გულუბრყვილონი, „ოცნებაში“ შეყვარებულნი, „ქრელ ხილვის“ მაძიებელნი და ილუზიონისტები (თითოოროლა არის კიდევ ამისთანა ხალხი ჩვენს ქვეყანაში) მაინც რიღაცის მოლოდინში იყვნენ. და სწორედ ამ ხანაში დაიბეჭდა ერთი წერილი, რომელიც, აშკარაა, ეკუთვნოდა იმგვარ ადამიანს, რომელსაც ოდესღაც სჯეროდა სიკეთე ამა ქვეყნისა, ხოლო ამ ჟამად მწარე და უიმედო ფიქრებს გაეტაცნა. რის იუბილე, რა იუბილე? ვის აგონებთ მოვალეობის აღსრულების საჭიროებას? ქართველ საზოგადოებას?! ბატონებო, ეგ ხომ სასაცილოა! თავის ღირსეულ წინაპრებს იგონებს და პატივს სცემს ის საზოგადოება, რომელსაც თავის თავის პატივცემა აქვს. და თქვენ გინდათ, ქართველმა საზოგადოებამ, დაქსაქსულმა, დანაწილებულმა, თავის თავის არა-მცნობმა და მაშასადამე თავის თავის უპატუვცემლობაში აღზრდილმა, გამოიჩინოს ღღეს ეს არა ჩვეულებრივი აქტი მამულიშვილობისა! არა მჯერა და ნახავთ, თუ მართალი არ ვიყოვო.

ამასობაში მაისობაც დადგა. თუმცა ბუნება როგორაც იკუმშებოდა, მაგრამ მაინც ლამაზად აბიბინდა და დამშვენდა გაზაფხულის მშვენებით. თუ დღესასწაულია, ამაზე კარგი დრო არ გამოირჩევა. მაგრამ დღესასწაული არავის ახსოვდა. მიიყრუეს, მიჩქმალეს, მიაფუჩეჩეს, თითქმის არა თქმულა-რა და არა ითქვარა. და წმინდის გულით და სპეტაკ სინიდისით საზაფხულო კლუბების გახსნის მოლოდინში იმყოფებოდა საზოგადოება.

მაგრამ ამავე დროს მოხდა ერთი პატარა ამბავი, რომელსაც მოულოდნელად დიდი შედეგი მოჰყვა. „ტფილისის ფურცელში“ ვიღაც „ზიგზაგი უპატივცემლად მოეკიდა თამარ მეფის ხსოვნას. წმიდა არისო, მითხარით რატომ არის იგი წმიდაო? ეკვს გარეშეა, საკითხი ბრიყულად არის დასმული და სრულიად ბუნებრივი იყო ის გარემოება, რომ ქართულმა პრესამ აღნიშნა ეს სიბრიყვე და გააბრთხილა „ტფილისის ფურცლის“ მესვეურნი: წერს ნუ გახვალთ და თავს ნუ იგდებთო. მაგრამ რუსულმა გაზეთებმა, ქართველები რომ სცემენ, ხმა შესაჩვევად აიმაღლეს. ღნდა სთქვას კაცმა, გულადები არიან... როცა დაბალ ღობეს წააწყდებიან. „ზაკავკაზკაია რეჩი“ პათეთიურად გაიძახოდა: როგორ თუ თამარ მეფის შეურაცხყოფა მოისურვეთ! არ იცით განა, როგორ გვიყვარს, როგორ ვცემთ პატივს და როგორის მუხლის მოდრეკით ვიხსენიებთ მისს სახელს! აი თქვე სომხებო, ურიებო,*) თქვენ გვიბედავთ შეურაცხყოფას და განა არ იცით, ურჯულოებო, რომ თამარ მეფის სახელი ყოველ საუნჯეს გვირჩევნია და ნუ თუ გგონიათ, რომ დაუსჯელნი დარჩებით, როდესაც შეურაცყოფთ ჩვენს საუნჯეს, ჩვენს სათაყვანებელს, ჩვენს დიდებულ თამარ-მეფეს, რომლის სიკვდილის შემდეგ შვიდასმა წელმა განვლო და რომელიც წარუხოცველ აღბეჭდილია ყოველ ქართველის გულშიო! ამ ამაღლებულ კილოთი შეტევის შემდეგ ქართველ საზოგადოებაშიც რაღაც ჩოჩქოლი ასტყდა, და საზოგადოებამაც ხმა ამოიღო. სხვა და სხვა წრეებიდამ დაიბეჭდა საპროტესტო წერილები. გაჩნდა რაღაც არა ჩვეულებრივი მოძრაობა, რომლითაც ამაყობდა „ზაკავკაზკაია რეჩი“ და პირში ბურთსა სჩრიდა ურჯულო შემრაცყოფელებს **).

არ ვიცი რატომ, მოშორებული რომ ვარ ყველა ამას, თუ სხვა მიზეზების გამო, ამ განგაშმა და მოულოდნელმა ხმაურობამ ჩემზე არა სასურველი შთაბეჭდილება მოახდინა. და რომ დაუკვირდი ჩემში აღძრულ უკმაყოფილების გრძნობას, ამ ამბებით გამოწვეულს, მივხვდი კარგად, რაშიაც არის საქმე.

ხუთი თვე არის ემუდარებოდნენ საზოგადოებას, აბა შენ იცი, როგორც პატივსა სცემ დიდებულებოვან მანდილოსანს! ხან აქეზებდნენ, ხან სტუქსავდნენ, ხან სიმდაბლით ევლებოდნენ, ხან უჯავრდებოდნენ და ბოლოს მაინც ემუდარებოდნენ, აბა ვინძლო თავი არ შეირცხვინო, შვიდასი წლის დამსახურებული ქალი ადიდე და გაიკითხეო. მაგრამ ყოველივე ამაო იყო. ან როგორ იქნებოდა სხვანაირად, როდესაც თამარ მეფის სახელის მოგონება ქართველ საზოგადოების თვალში სრულიად უჩვეული აქტია, რომელსაც, ვინ იცის, ვინ როგორ შეხედავს, ვინ როგორ განმარტავს. თამარ მეფის სახელის მოგონება იქნება კიდევაც სეპარატისტულ აქტად ჩაუთვლიდნენ, ან კიდევ, ღმერთო შეგცოდე, ძველ სამეფოს აღდგენის სურვილს დასწამებდნენ. ვინ იცის? ხიფათიანი დროა. და ქართველი საზოგადოება ხომ ასეთი გაფთხილებულია, ასეთი წინდახედული და გაწვრთნილი. რა დროს ეგენია. ნდობა უნდა დავიმსახუროთ, ნდობა და აბა თამარ მეფის გახსენებაზე, რა ნდობა ექნებათ ჩვენი! არა, გონიერება გვიკარნახებს სიფთხილე, სიფთხილე, სიფთხილე!..

ასე ამართლებდა თავის თავს გუნებაში ქართველი საზოგადოება და ასეთი დუნე და წყალწაღებული აზრები უტრიალებდნენ თავში. მაგრამ, დახე ბედის ტრიალს! მამულიშვილურ გრძნობათა გამომზეურების შემთხვევა არ მიეცა უეცრად ხელში ღვთის მადლით, შიშიც არსაიდან იყო. არც სეპარატისტობას, არც მეფობის აღდგენის სურვილს არვინ დასწამებდა. მაშ ჩავჭიდოთ ხელი თამარ-მეფეს, ვიამაყოთ, ვილაღოთ, ვაჩვენოთ ხაჩატუროვებს და ზიგზაგებს ვინც ვართ, როგორ ვიცით პატივისცემა და დაცვა გმირების და წინაპრების სახელისა. დიაღ, ვაჩვენოთ და იწყეს „პატრიოტული“ განგაში, ზათქი და ზეიმი ასტეხს.

დაიღოცა ღვთის სამართალი! საქმე მართლაც კარგად მოეწყო. რაღაცას გვაყვედრიდნენ. აღა! მამულიშვილობაც გამოვიჩინეთ და არც ვისმე წყრომა გამოვიწვიეთ. ვინ იტყვის, რომ პატივი არ ვიცით შვიდასი წლის დიდებულ მიცვალებულისა და მეორეს მხრივ, ვინ დაგვწამებს სურვილს სეპარატიზმისას სამეფოს აღდგენისას! ებრაელის დატუქსვა და გმობა ხომ მოსაწონი არის იმ წრეებში, სადაც სწყდება მომაკვდავ ადამიანთა ბედ-იღბალი. მაშ ვაშა ჩვენ ეროვნულ სიმწიფეს და განსაკუთრებით კი ჩვენს საარაკო გაბედულებას!

არჩილ ჯორჯაძე.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„რუსკოე სლოვო“ აღნიშნავს სენ. მანუხინის რევიზიის პირველ ნაბიჯს ლენის სისხლის ღვრის გამოძიების საქმეში და სხვათა შორის ამბობს:

ხსენებულ რევიზიის დაიმშვნას განსაკრთრებულ ერთსულოვანებით მიეგება პრესაცა და საზოგადოებაც, რადგან რევიზიის შემადგენლობა სრულ იმედს იძლეოდა, რომ საზოგადოებრივი სინიდისი სავსებით დაკმაყოფილებული იქნებოდა ლენის ამხანაგობის საიდუმლოებათა ყოველ მხრივის გამოაშკარავებით. ლენის ამხანაგობა, რომელიც მაგრად იდგა ერთხელვე არჩეულ პოზიციაზე და ყურსაც არ იბერტყდა მომხდარი ამბებისათვის, ახლა მოულოდნელად იძულებული შეიქმნა გამოეცვალა აზრი და დათმობის გზას დასდგომოდა... საკმაო იყო რევიზიის მიერ რამდენიმე მეთაურის გამოწვევა ჩვენების ჩამოსართმევიდ, რომ ლენის ამხანაგობას ნიადაგი გამოსცლოდა, გზაკვალი არეოდა. მუშათა ის მოთხოვნილებანი, რომელნიც ოდესმე მათ უკანონოდ მიაჩნდათ და რომელსაც თვით უპასუხებდნენ, დღეს არა თუ კანონიერად აღიარეს, არამედ მეტის დათმობასაც ფიქრობენ. მუშათა მოთხოვნილებაში ლენის ამხანაგობა დღეს პოლიტიკურ მოტივს ვეღარა ჰხედავს, რადგანაც ამგვარი რამ ვერც რევიზიამ აღმოაჩინა.

ეს ერთი უმნიშვნელონელი შედეგია რევიზიისა, რომელიც მცირეოდენ მშვიდობას მაინც შეიტანეს ლენის მუშათა შორის, რომელნიც დღემდი სიმშილისა და სადგომებიდან განდევნის შიშის ქვეშ იმყოფებიან.

მეორე—უფრო ხნეობრივი—ნაყოფი რევიზიისა არის ბოდაიბოდან გაძევება ტრეშჩენკოვისა.

პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა ბ. ბელეკიმაც კი აღიარა, რომ მისი ხელქვეითი მოლვარებას იწვევდა ლენის მუშათა შორის და ტრეშჩენკოვის გაწვევა სწორედ მუშების დასამშვიდებლად მოხდაო,

ასეთია ის კეთილი ნიშნები, რომლითაც დაიწყო ხსენებული რევიზია. ყოველივე ეს—საზოგადოებრივი ნდობა და რევიზიის პირველი ნაყოფი—გაამხნევებს იმ პირთ, რომელნიც მონაწილეობას იღებენ გამოძიებაში.

სახელმწიფო სათათბირო

როძიანკო თავმჯდომარეობს.

მინისტრთა ლოჟაში იუსტიციის მინისტრი ზის.

სათემო სასამართლოს დროებით წესების განხილვას განაგრძობენ.

რამდენიმე მუხლი, რომელთა გამო ილაპარაკეს **ხასმამედოვმა, კროპოტოვმა, ანდრეიჩუკმა. ფომკინმა, ლუკაშინმა და შილომ.** მუხლები შემთანხმებელ კომისიის რედაქციით მიიღეს.

სათემო სასამართლოს ნაწილის განხილვა გათავდა.

დაიწყეს უმაღლეს სასოფლო სასამართლოს ნაწილის განხილვა 29—40 მუხლები შემთანხმებელ კომისიის რედაქციით მიიღეს.

როდესაც ამ მუხლთა გამო კოვალენკო მე—2 ლაპარაკობს, დარბაზში შემოდის **გოლოლობოვი.** სათათბიროს ბოქაულის თანაშემწე მიდის და რაღაცას ეუბნება. გოლოლობოვი დარბაზიდან მიდის.

მარკოვი მე-2 აცხადებს, თავმჯდომარემ უსამართლოდ დაითხოვა გოლოლობოვი, რომელიც საადმინისტრაციო სამსახურში შესულა, ჯერ სათათბიროს უნდა გადაეწყვიტნა მისი დათხოვნაო.

თავმჯდომარე უპასუხებს მარკოვს და აღნიშნავს; ასე ავტორიტურად რომ აცხადებს მარკოვი, ჯერ საქმის ვითარება უნდა გაეგო. მე სრულიადაც არ მითხოვნია გოლოლობოვისათვის წასულიყოო (ცენტრელნი ტაშს უკრავენ). შემდეგ თავმჯდომარე კი თხოულობს გოლოლობოვის განცხადებას, სათათბიროს წევრობიდან გამანთავისუფლეთო.

შემდეგი მუხლები მიიღეს კომისიის რედაქციით მხოლოდ სამოცდა მეშვიდე მუხლი მიიღეს პახალჩიკის შესწორებით. იგი ამბობს: თუ სათემო სასამართლომ რომელიმე საჩივარი თავის საქმედ ვერ მიიჩნია, მომრიგებელ მოსამართლეს უნდა გადასცეს გამოსარკვევადაო.

კენჭის ყრის გამო ლაპარაკობს **პეტროვი მე-3** და წინააღმდეგია კანონ-პროექტისა და „შრომის ჯგუფელთა“ სახელით აცხადებს, კანონ-პროექტის წინაამდეგ მივცემთ ხმასაო.

სათემო სასამართლოს წესები მიიღეს.

სათათბირო გადადის ადგილობრივ სასამართლოს კანონ-პროექტის მუხლების განხილვაზე.

ანტონოვი საბჭოს მიერ გამოტოვებულ მუხლთა აღდგენას მოითხოვს. ამ მუხლთა ძალით, იმ ადგილების მცხოვრებნი, სადაც უმეტესობა არარუსნი არიან, სადაც რუსული ენა არ ესმით, შეუძლიან დედა-ენით დაწერილი თხოვნები და განმარტებანი წარადგინონ სასამართლოშიო. ფიცის მიღებაც დედა-ენაზე უნდა შეიძლებოდესო.

ზამისლოვსკი ამ საკითხის კენჭის ყრის წინააღმდეგიც კი არის.

გლებოვი მოითხოვს, საკითხის გადაწყვეტა შემდეგის სხდომისათვის გადავდოთო.

წინადადება მიიღეს.

შემდეგი სხდომა მოხდა 21 მაისსა.

სახელმწიფო საბჭო

დეკემბერი.

აკიმოვი თავმჯდომარეობს.

განსახილველია საფინანსო კომისიის მოხსენება 1912 წლის ხარჯთაღრიცხვისა.

მომხსენებელის დმიტრიევის სიტყვით, კომისიას სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა შეუმცირებია 9 მილ. და არა 17 მილიონით, როგორც სათათბიროს სწადიან. შემდეგ ხარჯთაღრიცხვას ეხება და კმაყოფილია,—ხუთს წელიწადში 450 მილიონი თანხა დარჩენია ხაზინასაო. ფინანსების ასეთ კარგ მდგომარეობას გვერდს უმშვენებს რუსეთის საეკონომიო ცხოვრების კეთილდღეობაც. ერთად-ერთი ნაკლი—მოუსავლობა იყო, მაგრამ ეს რუსეთის გარდამავალს მოვლენას უფრო ჰგვანდა და მუდმივი ხასიათი არ ექნება..

სკირმუნტი. რუსეთის მდგომარეობა ხაზინის კეთილ მდგომარეობას ვერ შეეფერება, საჭიროა გადასახადთა სიმძიმის შემსუბუქება და ხალხის საკულტურო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. აუარებელი ფული იხარჯება სახელმწიფოს დაცვისათვის, საჭიროა შინაც მოიხედოთ, გაუადვილოთ ხალხს წინსვლა. კრედიტის ნაციონალიზაცია ხალხის წინსვლის დამაბრკოლებელი მწვალებლობაა.

ვიტტე ბევრს ლაპარაკობს არყის გაყიდვის მონოპოლიის თაობაზე. მონოპოლიას ლოთობის მოსპობა ჰქონდა მიზნად, მაგრამ სრულიად არ შემცირებულა ლოთობა ხალხში და იმედია, მეოთხე სათათბირო ამ საკითხს დიდს ყურადღებას მიაქცევსო.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე საათ ნახევარს ლაპარაკობს. ეს მესამე ხარჯთ-აღრიცხვაა, უზარალოდ რომ გათავებულაო. პირველად 1910 წელს გადარჩა 4,700,000 მანეთი, 1911 წელს 45 მილიონი დარჩა და 1912 წელს 49 მილიონი დარჩება, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ ას მილიონს, ხაზინის ბილეთების გასანაღდებლად რომ გაიდაიდო. ნუ იფიქრებთ, ვითომც 1912 წლის შემოსავალი გადაჭარბებით იყოს ნავარაუდევი. ამისი საბუთი გვქონდა, რადგანაც 1911 წელს შემოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა, 1912 წლის შემოსავალი 1911 წლისას უნდა აღემატებოდეს 189 მილიონით.

მინისტრი ეხება ჩვეულებრივ ხარჯსა. ხარჯიც 1911 წლისას აღემატება 242 მილ. ამაში 50 მილიონი საზღვაო სამინისტროს დასჭირდება, დანარჩენი კი სამხედროს. სამეურნეოს, განათლებისა და ფინანსთა სამინისტროებსაო, რუსეთს ამ სამ წელიწადში 200 მილიონი ვალი გადაუხდია და ბევრი რამ გაუკეთებია; აღსანიშნავია აგრედვე სიმშილობასთან ბრძოლა. ამ საკითხს ჯერაც დიდ ადგილს უთმობენ გაზეთები. შიმშილობამ ბევრს შემთხვევა მისცა მთავრობაზე იერიშის მიტანისა და ბევრი ტყუილიც მოიგონეს. სწერდნენ, შიმშილით იხოცება ხალხი, და წინადვე სამარეს ითხრისო. ასეთი არა ყოფილა რა. რასაკვირველია ნაკლი იყო, რადგანაც ქვეყანაზე უნაკლო არა არის რა, მაგრამ სახელმწიფომ ღირსეულად აასრულა მოვალეობა.

საკითხია, შევძლებთ კი გემთა ასაგებ პროგრამის განხორციელებას. ამ საკითხის გამოსარკვევად საჭიროა მომავალს მივაპყროთ თვალი. მინისტრი ციფრებით ამტკიცებს რუსეთის ფინანსების კეთილმდგომარეობას და იმედი აქვს, რომ შემოსავალი თან და თან იმატებს და რუსეთიც შესძლებს აუარებელ საჭიროებათა დაკმაყოფილებასაო.

უსაფუძვლო საყვედურია, ვითომც სახელმწიფოს დაცვისათვის ბევრსა ვხარჯავდეთ. ვინ არ იცის, რომ დიდი საგელმწიფო ერთი ხელით კულტურას უნდა ანვითარებდეს და მეორეთი—ქვეყნის დაცვის საქმეს. უამისოდ შეუძლებელია დიდ სახელმწიფოს არსებობა.

(ისმის ტაშის ცემა).

სხდომა ცოტას ხნით შესწყვიტეს.

სხდომის განახლებისას **ვასილიევი** ლაპარაკობს. რუსეთში არაპირდაპირი გადასახადი ბევრად სჭარბობს პირდაპირს: საზოგადოდ გადასახადთა სისტემა სრულიად არ ვარგა და უკანასკნელი ადგილი უჭირავს ამ მხრით რუსეთსაო. გარდა ამისა, ვერც მესამე სათათბიროს მოუსწვრია გადასახადთა კანონ-პროექტების განხილვაო.

საბჭომ მიიღო უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებულებათა ხარჯთაღრიცხვა, მიიღო აგრედვე ხარჯთაღრიცხვანი სინოდისა, შინაგან საქმეთა, ფინანსთა, იუსტიციისა და განათლების სამინისტროთა. საბჭო ორ რამეზე ვერ დაეთანხმა სათათბიროს: შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვას დააკლო 150 ათასი მანეთი, რომელიც ხაბაროვსკის გენერალ-გუბერნატორის სახლის აშენებისათვის ყოფილა გადადებული. გარდა ამისა, საბჭომ აღადგინა მუხლი, სათათბიროს მიერ გამოტოვებული, რის ძალითაც პატიმართა გადაყვან-გადმოყვანისათვის გადადებულ იქმნა 400 ათასი მანეთი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის გამო გადასწყვიტეს, მთავრობამ შემოიტანოს კანონ-პროექტი კანცელარიებში მოსამსახურეთა ჯამაგირის მომატებისა იმ ადგილებში, სადაც ცხოვრება ძვირია.

განათლების სამინისტრომ უნდა ეხლა დაიწყოს ზრუნვა უმაღლეს სასწავლებელთა შენობების საჭიროებათა და კმაყოფილებისათვის, შემოიტანოს კანონ-პროექტი საუნივერსიტეტო შტატისა იმ დრომდე, ვიდრე წესდებას შევიმუშავნდეთო.

შემდეგი სხდომა მოხდა 21 მაისს.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **აღალო თუთაევის გარდაცვალება.** გუშინ, გათენებისას, ერთის კვირის ავადმყოფობის შემდეგ ტფილისში გარდაიცვალა ქართველ საზოგადოებაში კარგად ცნობილი მუშაკი აღალო თუთაევი; განსვენებული ყოველ ქართულ საქმეებში შეძლების და გვარად მონაწილეობას იღებდა. უკანსკნელ ხანს მისის მეცადინეობით დიდუბეში, მისსავე სახლში ბიბლიოთეკა გაიხსნა, რომლის გამგედაც იყო.

✦ ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი ბ-ნი **მუსელიუსი** 19 თებერვალს ტფილისს დაბრუნდა.

✦ 19 მაისს ვიღაც უცნობმა საბურთალოზე სპოლიციო დარაჯი პეტრე სპირიდონის ძე ბერიძე **დასჭრა.** უცნობმა, რომელსაც მაუზერის რევოლვერი ჰქონდა, დამალვა მოასწრო.

✦ **სავაჭრო ბანკის** აქციებს, გუშინ, ორის საათის განმავლობაში, სამასმა კაცმა მოაწერა ხელი. მოაწერეს 2,225,000 მან. აქციაზე და ნაღდ ფულად გუშინვე შეიტანეს 222,000 მან.

✦ **თავი მოიკლა** კარბოლის სიმჟავით ტფ. მოქალაქე არამ ყაზარის ძე ნურალიანმა, რომელიც სირაჯ ხანაში ძმ. მილოვების სავაჭრო სახლში ნოქარად მსახურობდა. მიზეზი ის ყოფილა, რომ წინად მდიდრულად უცხოვრია, უკანასკნელ ხანს კი სიღარიბეში ჩავარდნილა.

✦ **ეგზარქოსის მოგზაურობა.** 2 მაისს, შუადღისას, საქართველოს ეგზარქოსი ნიკანორ ... ... თვალიერებლად გაემგზავრა საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი, რომელსაც თან გაჰყვნენ: გორის ეპისკოპოსი ანტონი, ტფ. ვიცე-გუბერნატორი პანოვი, საგუბერნიო ექიმი ქიქოძე, ეგზარხოსის კანცელარიის მმართველი და სხვანი.

✦ **გუბერნატორმა** ნება დართო **ივანე ფერდინანდის-ძე ანდრიასს** გაზეთის საშუალებით ნივთიერი დახმარება სთხოვოს საზოგადოებას. დახმარების გამოგზავნა შეიძლება შემდეგის მისამართით: ტფილისი, რიყის ქუჩა სახლი № 91.

✦ ნება დართეს, **კავკასიის სანებზე წარმოადგინონ** ოსურად ავქ. ცაგარლის 4 მოქმედ. კომედია „ციმბირელი“, თარგმანი პ. თედეევისა.

✦ **ქალაქის თავშესაფარნი.** ქალაქის ინჟენერს სიმონოვსკის დავალა, შეადგინოს ესკიზი—პროექტები სამშობიარო და სულით-ავადმყოფთა თავშესაფარ შენობებისა.

✦ **ვერის პარკი.** ქალაქის სატყეო-საბაღოსნო კომისიამ დაადგინა, ვერის პარკი გააფართოვოს. ამ აზრით შეძენილ იქნება ქ-ნ ტურკოვსკის მიწა, რომელიც პარკის გვერდით მდებარეობს. ამავე მიწაზე აშენდება საქალაქო სკოლა.

✦ **ხორცის ნიხრი.** ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიამ დაადგინა, ხორცის ნიხრს დაუკლოს. გირვანქა ძროხის ხორცზე დააწესა 14 კაპ. (წინად 15 კ. იყო), ცხვრისაზე —16 კაპ. (18 კ. იგივრად) და კამეჩისა —8 კ. (9 კაპ. ნაცვლად). ბურის ნიხრი უცვლელად დასტოვა.

✦ მიმდინარე წლის იანვარში მაძებარ პოლიციის უფროსმა ცნობა მიიღო, რომ ტფილისში ვიღაც ბურის არაყს ამზადებს და ბაქოელ ფირმის წ. ა. „ტერენტიევი“ს არაყად ასაღებსო. გამოირკვა, რომ ამ სიყალბის ჩამდენი ყოფილა კარდანახის მცხოვრები მიხეილ გრიგოლის ძე სესიევი, რომელსაც ვაგზლის ქუჩაზე არყის ქარხანა აქვს და რომელიც ვაჭრობს ფირმით „ძმ. სესიევები“. სესიევს რაკი შეუტყვია, რომ ტერენტიევის არაყს დიდი გასავალი აქვს, თავის მოურავ ნიკოლოზ კაიშაურისთვის დაუვალებია, ეპოვა ვინმე კაცი, გვარად ტერენტიევი, და იმის გვარი თავის არაყზე დაეწერა და ისე ეყიდნა. 1909 წელს კაიშაურს მართლაც უპოვია ერთი რუსი ნიკიფორე პარფენის-ძე ტერენტიევი, რომელსაც ჯამაგირსა და ერთის დუქნის გახსნას დაჰპირებია და იგიც წინადადებაზე დათანხმებულა ამ რიგად ასე მოტყუებით თურმე ჰყიდდა სესიევის ფირმა თავის არაყს ბაქოელ ტერენტიევის ფირმის სახელით, მაგრამ ახლა ყველაფერი გამოირკვა და დამნაშავენი სამართალში მისცეს.

საზოგადოებანი და კრებები.

✦ სახალხო სახლთან არსებულ **რუსულ დრამატიულ წრის** საზოგადო კრება 20 მაისს მოხდა. განხილული და დამტკიცებულ იქმნა წარსულ წლის ანგარიში, რომლიდანაც, სხვათა შორის, სჩანს; საზოგადოებას შემოსავალი ჰქონია 10,792 მან. და ამდენივე ხარჯი. ქალაქის თვითმმართველობისთვის თეატრის ქირად წრეს მიუცია 1,700 მან. და ტანისამოსის შესანახი -1,115 მან. წრეს 63 წევრი ჰყოლია. წრის თავმჯდომარედ ო. ს. ბუქშტეინი აირჩიეს. წრის გამგეობის წევრებად აირჩიეს, ი. ი. ზლობინი, ი. ა. ოსიპოვი, გ. ა. ბეილინი, ნ. პ. მოისეევი, ვ. ტ. ფეფელოვი და ე. ნ. ჩალენკოვი.

✦ მოკლე ხანში დამფუძნებელი კრება მოხდება **სააღმაშენებლო არტელის საკოოპერაციო ამხანაგობისა,** რომლის მიზანიც არის, იჯარით აიღოს სხვა და სხვა საალმაშენებლო სამუშაო, იქონიოს საალმაშენებლო მასალის საწყობები და სხვა.

✦ **მდაბიო მოქალაქეთა რწმუნებულების** კრება 22 მაისს მოხდება.

კავკავი

✦ 14-ს მაისს, სრულიად მოულოდნელად აქაურს ქართველ საზოგადოებისთვის, კავკავში ჩამობძანდა ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოზი დავითი. პირველი ღამე გაათია „ევროპა“ სასტუმროში, ხოლო 15-ს დილით. გადაბრძანდა კავკავისა და მოზდოკის არხიეპისკოპოზის პიტირიმის ბინაზე. მოხსენებულ, რიცხვს, საღამოს 6-ს საათზე, ყოვლად სამღვდელომ, დაათვალიერა ქართული სკოლა, ქართველთა საკრედიტო ამხანაგობა, ეკლესია, თეატრი სამკით-

ხველო და ბაღი. ნახულით ძლიერ კმაყოფილი დარჩა და სკოლას მცირე წვლილი შემოსწირა. ეპისკოპოზ დავითს [illegible]ერგი შთაბეჭდილება მოუხდენია ყოვლად სამღვდელო პიტირიმთან საუბარს. პიტირიმი დიდის პატივისცემით შეჰგებებია დავითს და სრულიად გულ ახდილათ გამოუთქვამს თავისი აზრი საქართველოს ეკლესიის შესახებ. 17-ს, დილის 11 საათზე, ყოვლად სამღვდელო გაემგზავრა თავის ახალ ეპარქიაში. (პიატიგორსკში.)

ეგზამენები **ქართულ სკოლაში** 22 გათავდება. ამ დღეს დაითხოვენ მოწაფეებს.

21 ივნისს ტფილისის სამოსამართლო პალატის სესია გაარჩევს **თავ. ურა დადიანის** და ბ-ნ **მ. ბ. დადიშკელიანის საქმეს.**

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი.

ბანკის რწმუნებულთა კრების თავმჯდომარედ აირჩიეს დავით ნიკარაძე, რომელმაც კიტა აბაშიძეზე ორის ხმით მეტი მიიღო.

ჟურნალისტის დღიური.

63.

ბევრი გარუსებული ქართველი მინახავს. ქართველ დედ-მამის შვილია, ქართულ გვარს ატარებს, მაგრამ სულით, გულით, მთელის თავის ფსიხიკით რუსია. არ გესიამოვნებათ, როდესაც ამისთანა ქართველს ებაასებით, მაგრამ იგი თქვენში ზიზღს მაინც არ იწვევს. ჰგრჭნობთ, რომ რაღაც არა ჩვეულებრივ გარემოებას, პირობათა განსაკუთრებულ კომბინაციას იგი ისეთს მდგომარეობაში ჩაუყენებია, რომ საშობლო ენა სრულიად დაჰვიწყებია, გარდაჰქმნია ფსიხიკა, ყოველგვარი კავშირი გაუწყვეტია სამშობლო ნიადაგთან და რუსულს შესთვისებია. რუსული სულიერი კულტურა მის სამშობლო კულტურად გადაქცეულა. ამისთანა ქართველში სულიერი ცხოვრების მთლიანობა დარღვეული არ არის. მიუხედავად გარუსებისა, იგი მაინც დასრულებული ფსიხოლოგიური ტიპია, და სწორედ ამიტომაც მასთან ბაასი უსიამოვნო კვალს არა სტოვებს თქვენში.

მაგრამ ამის მეორე ტიპი გარუსებულ ქართველისა, საზარელი, ყოვლად ანორმალური. მას ჯერ კიდევ სრულიად კავშირი არ გაუწყვეტია ქართულ სინამდვილესთან, მაგრამ რუსული კულტურაც ცოტად თუ ბევრად შეუთვისებია, მაგრამ სავსებით აღარც ქართული კულტურა მისთვის სამშობლო კულტურა, აღარც რუსული. სამშობლო ნიადაგს მოწყვეტილი ვიღასაც უცხოს შესთვისებია იმდენად, რომ იგი მის სულიერ ცხოვრების ორგანიულ ნაწილად გადაიქცეს. აი, სწორედ ეს გარემოება არღვევს ფსიხოლოგიურ მთლიანობას და ამ ტიპის გარუსებულ ქართველს ბუნებრივობის ელფერს უკარგავს.

მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, ჩვენი ოჯახი, ჩვენი სკოლა ამის საუკეთესო სურათს გვაძლევს. მაგრამ ამ ჟამად მე მინდა მოვიყვანო ერთი მაგალითი, რომელმაც განსაკუთრებით გამაოცა. ერთს ოჯახში ვიყავი. ახალ-გაზდა ქალები იყვნენ და კითხულობდნენ ბ-ნ ი. გედევანიშვილის უკანასკნელ ნაწარმოებს, რომელიც ჩვენი გაზეთის უკანასკნელ, კვირის, ნომერში დაბეჭდა. ზემოხსენებულ ნაწარმოებში ისეთი თემაა აღძრული, რომელიც, რა თქმა უნდა, ახალ-გაზდა ქალებს დაინტერესებდა. ბევრნაირი აზრი გამოითქვა. ზოგმა რა სთქვა, ზოგმა კიდევ რა. ბოლოს ერთმა ქალმა სკეპტიკურად ხელი ჩაიქნია და სთქვა, ჩემის აზრით ეს ნაწარმოები ბუნებრივი არ არისო. დამაინტერესა, გამოვკითხე და ჩემს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც გავიგე, რომ ახალ-გაზდა ქალს არა ბუნებრივად მიაჩნდა ის, რომ ცოლს თავისი წერილი დალაგებულის ქართულის ენით დაუწერია. ასე ქართველი ქალები ვერ დასწერენო. წმინდა ქართული ენა, ქართულად გამოთქმული საზოგადო აზრები, მსჯელობა მას არა ბუნებრივად მიაჩნია, რადგანაც ცხოვრებაში ქართველი ქალები ასე ვერა სწერენ და ლაპარაკობენ—და ამათ თვით ნაწარმოებსაც მის თვალში ბუნებრივი ხასიათი ეკარგება. ახალგაზდა ქალმა თავისდაუნებურად გამოჰხატა მთელი ტრაგიზმი ჩვენი მდგომარეობისა. მართლაც, ავტორი თავის მომქმედს პირს ალაპარაკებს ქართულად ისეთს საგნებზე და იმნაირად, როგორც ქართველი ქალები არ ლაპარაკობენ. ბ-ნ ი. გედევანიშვილის მომქმედ პირის ნალაპარაკევი ცხოვრებიდან ამოღებული სურათი კი არ არის, არამედ ავტორის მიერ ნააზრევი, ავტორის მიერ შექმნილი მსჯელობა, რომელიც თავზე მოუხვევია აბსტრაქტულ ქართველ ქალისთვის, რადგანაც კონკრეტულად, მართლაც, ასე არა ლაპარაკობენ ჩვენში.

უცნაურად მიმაჩნია არა ახალგაზდა ქალის შენიშვნა, არამედ საზოგადოდ ქართველ ქალის ის ფსიხოლოგია, რომელიც ამნაირს შენიშვნისთვის მასალას იძლევა. მრავალ წლების უკულმართს ცხოვრებას, აღზრდას იმდენად შეუცვლია ქართველი ადამიანის ფსიხოლოგია, რომ ქართულად გამოთქმული დალაგებული მსჯელობა არა ბუნებრივობის შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე.

ახალ-გაზდა ქალის ერთის შეხედვით უცნაური შეკითხვა ჩვენი საზოგადო მდგომარეობის გამონაკადია. ასეთივე ფსიხოლოგიური განცდა უდევს საფუძვლად იმ გარემოებას, რომ ჩვენ ხშირად საკუთარ ხელოვნურ ნაწარმოებთა სილამაზეს ვეღარა ვხედავთ. გადავეჩვიეთ ქართულად აზროვნებას, ქართულად წერას, ქართულად ლაპარაკს, და ამიტომ, როდესაც ავტორმა ქართველი ქალი თავის ნაწარმოებში ქართულად აალაპარაკა, არა ბუნებრივობა ვიგრძენით.

მე მგონია ასეთი გადაგვარება უფრო სახიფათოა ჩვენთვის, ვიდრე ერისა თუ ორის სრული გარუსება. სიფათოა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მას უფრო მაგრადა და ფართო წრეებში აქვს გამდგარი ფესვები ჯ მეორეს არას მხრით, იმიტომ, რომ არღვევს ფსიხოლოგიურ მთლიანობას.

შინაური,

ტფილისის ხელოსანთა თავის არჩევა.

კვირა, 20 მაისს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდა არჩევნები ტფილისის ხელოსანთა თავისა. თუმცა კრება 10 საათისთვის იყო დანიშნული, მაგრამ 12-ზე ძლივს დაიწყო. კრება გახსნახა ხელოსანთა ძველმა თავმა ბ. სეროპიანცმა და ორი სიტყვით მოახსენა ამრჩევლებს, რომ საჭიროა პატიოსანი და კეთილშობილი პირის არჩევაო.

შემდეგ დაიწყო გაუთავებელი რიგი ორატორებისა, რომელნიც ერთხელვე გამოთქმულ აზრს ათასნაირი განმეორებით ატრიალებდნენ. საერთო აზრი კი ისეთი იყო, რომ ახლანდელი ხელოსანთა გამგეობის მდგომარეობა უნდა გამოიცვალოს, რადგანაც 40 წლის განმავლობაში მას თითქმის არა გაუკეთებია რა, მაშინ როდესაც სხვა ქალაქების (მოსკოვისა, პეტერბურგისა, ოდესისა) ხელოსანთა გამგეობამ ბევრი რამ თვალსაჩინო და საარგებლო შეჰქმნა ხელოსანთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად; დაარსა სკოლები, საავადმყოფოები, თავშესაფარები და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებანი. ტფილისის გამგეობა კი არა თუ ასეთი გაუმჯობესებისათვის არა ცდილა, შემოსავალ-გასავლის წიგნების წესიერი წარმოებაც კი ვერ მოუხერხებია და საზოგადოებამ სრულიად არ იცის, სად და რაში იხარჯება ამოდენა ფული, (20 ათას მანათამდე წლიურად, რომელიც ხელოსანთ ჰხდებათო.

როგორც იყო დასრულდა ორატორთა რიგი. დაურიგდათ ფურცლები ხელოსანთა თავის კანდიდატების დასასახელებლად.

ფურცლებით დასახელებულ იქმნენ:

1) სეროპიანცი 49 ხმით. 2) ფარსეგოვი 68 ხმით. 3) ი. მხეიძე 66 ხმით. 4) მელუნჩუკი 46 ხმით. უარი განაცხადეს 5) რიქებეცკი 3 ხმით. 6) ვაშაკიძე 7 ხმით. 7) კაპანაძე 2 ხმით. 8) აკოპოვი 8 ხმით. 9) მალიანცი 2 ხმით. 10) მაისურაძე 3 ხმით. 11) ოთაროვი 4 ხმით.

ხელოსანთა მოურავად არჩეულ იქმნა ბ-ნი ფარსეგოვი.

„ავლაბრის წრის" პრეგა

კვირას, 20 მაისს, ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის თათბირი მოხდა იმის შესახებ, რომ ამ ზაფხულს სადმე მოაწყოს წარმოდგენების მართვა. კრებას, სხვათა შორის, დაესწრო ტფ. ქალაქის თვითმმართველობის ორი ხმოსანიც. კარგა ხნის კამათის შემდეგ იმ დასკვნას დაადგნენ, რომ აუცილებლივ საჭიროა ავლაბარში, როგორც განაპირა უბანში, იმართებოდეს სახალხო იაფ-ფასიანი წარმოდგენები. რადგანაც ჯერ-ჯერობით სხვა უფრო მოხერხებული თეატრი არ არის, ისევ ბ. მურაშკოს თეატრის აღება არჩიეს. ამის შესახებ წრის გამგეობამ ხმოსნებთან ერთად კვირასვე ბ-ნ მურაშკოსთან მოლაპარაკება გამართა თეატრის ხელმისაწვდომ ფასში დათმობის შესახებ და შეთანხმდნენ კიდეც.

ამასთანავე დაადგინეს: რადგანაც ამ ჟამად „წრე" ნივთიერად ისე ღონიერი არ არის, რომ თეატრის აღებაც იკისროს იჯარით სამის წლის ვადით, ამიტომ შუამდგომლობა აღძრას ქალაქის გამგეობის წინაშე დახმარების შესახებ. ამის თაობაზე მოთავეობა კრებაზე დამსწრე ხმოსნებმა აღუთქვეს. ხოლო ეხლავე კი, მიჰმართოს ავლაბრის შეგნებულ მცხოვრებთ, რომელნიც კი აღტკურვილნი არიან სახალხო საქმის სიყვარულით, ნივთიერად ერთ-დროულად დახმარება გაუწიონ, რათა საშუალება მიეცეს წარმოდგენების მმართველ წრეს პირველში მოაწყოს წარმოდგენების საქმე.

ბ. მურაშკოსთან მოლაპარაკება და პირობის შეკვრა ერთის კვირის განმავლობაში უნდა გათავდეს, რადგანაც იგი ტფილისიდან გასვლას აპირებს და შესაძლებელია ჰასუხის დაგვიანებამ საქმეს ხელი შეუშალოს.

იმედია, ავლაბრის საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს ასეთ მშვენიერ საქმეს და სულითა და გულით დახმარებას გაუწევენ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრეს.

თუ ამ ერთი კვირის განმავლობაში მურაშკოსთან დასდვეს ხელი—შეკრულება, პირველი წარმოდგენა გაიმართება 3 ივნისს.

ავლაბრელი.

„ჟაკმენის სიოთხე".

(პასუხად მიხ. ლეონიძის შეკითხვაზე).

მეორე წელიწადია, რაც ქუთაითური **ვაჭარი ნიკიფორე ჭონელიძე** ბ-ნ **ვ. ტიებოს** დახმარებით ავრცელებს ახალ სითხეს ვენახების მოსაწამლად ქრაქისგან, ნატრის, ბლეკროტის და სხვა და სხვა მნრიძისგან. შარშან იმდენად გვიან მიიღო ეს ზემოხსენებული სითხე, რომ ცდა გვიანდა იყო, რადგანც ვენახები ჩვეულობრივ „ბორდოს სითხით" იყო ნაწამლი. წელს კი ძალიან ნაადრევია იმის თქმა, თუ რამდენად კარგია ეს ახალი საშუალება და მართლა იმდენად სჯობია ბორდოს სითხეს როგორც ბ-ნი ჯანელიძე გვირჩევს!

უვანასკნელად გამოშვებულ ფურცელში ბ. ჯანელიძეს მოჰყავს ზოგიერთა მემამულეების ცნობები, რომლებსაც შარშანვე უწამლიათ და კარგი შედეგი მიუღიათ.

ჩემის აზრით, ამ ცნობებს არავითარი ფასი არა აქვს. ერთი სწერს; „ერთხელ უწამლე ისიც გვიან და ვენახი საკმაოდ მოარჩა ავადმყოფობისაგანო" ერთი წამლობა და ისიც დაგვიანებული ვერ ისნნის ვაზს ავადმყოფობისგან. გარდა ამის როგორც ბორდოს სითხე აგრეთვე ჟაკმენისაც მხოლოდ იმ ადგილს მოქმედებენ სადაც წინწკლები ეცემა. თავის თავად ცხადია რომ ახალ გამოსულ ფოთლებს მოწამვლის შემდეგ ისევ თავისუფლად შეუძლიან გაუჩნდეს ქრაქი ან სხვა ავადმყოფობა, ჟაკმენის სითხე თუმცა, როგორც ისინი ამბობენ, **უნივერსალური წამალი** ყოფილა, მაგრამ ბუნებაში მაინც ვერ მოსპობს სოკოების სპორებს.

სხვა წერილებიც ამავე შინაარსისა არის და იმათ მოყვანა არა ღირს.

შეიძლება ძალიან კარგიც იყო ეს საშუალება და სასარგებლოც, მაგრამ ცდა უნდა ერთი წამლობით კი არა და ან ერთი წლით. 3—5 წლის განმავლობაში მაინც უნდა იშინჯოს, რადგანაც წელიწადი წელიწადს არ ჰგავს, შეიძლება ერთ წელიწადს მხოლოდ ერთი წამლობა დასჭირდეს და მეორეს კი ოთხჯერაც მოუნდეს. მეორეც ეს უნდა შინჯონ ისეთმა პირებმა და დაწესებულებებმა, რომლებიც მუშაობენ მევენახეობაზე. ვიღასაც ორი გირვანქა წამალი წაუღია უდრო-უდროვოთ, სხვისთვის დაუვალებია ვენახის წამლობა, ის ვერაფერ დასკვნას გამოიტანს ამ წამლის შესახებ.

ვიმეორებ, შეიძლება „ჟაკმენის სითხე" ძალიან კარგიც იყოს, მაგრამ სამწუხაროდ ისეთს პირებს ჩავარდნიათ ხელში ამის გავრცელება, რომ, როგორც სჩანს, ამათთვის ნივთიერ მხარეს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მოტანილ სარგებლობას. აი მაგალითიც: ჟაკმენი სწერს: „არამც და არამც არ გაურიო ჩემ სითხეში არც ერთი მისხალი კირი და ან სხვა რამე, თორემ წამალი დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას და ტყუილი იქნება ხარჯი ჯ შრომა". გარდა ამისა სწერს „ზოგიერთი ვაზის ჯიშის რომლებსაც ნაზი ფოთლები აქვს, უნდა ეწამლოს მხოლოდ ისეთ დროს, როდესაც გრილა, ე. ი. დილით და საღამოთი, თორემ ადვილად შეიძლება ფოთლები დასწვასო".

არც ერთ ამ საყურადღებო დებულებებს ბ. ჯანელიძის ბროშურაში არა აქვს მიქცეული ყურადღება და წარმოიდგინეთ ურჩევს კიდევაც, რომ **კირი გაურიონ წამალში,** რომ კარგად დააჩდეს ფოთლებსაო. ასეთი რჩევის მიზანი ის არის, რომ წამალი არ დაინანონ, რადგანაც ზოგიერთს ჰგონია, თუ ფოთლებზე კარგად არ აჩნევია წამალი, არ არგებსო.

მე მესმის, ბ. ჯანელიძე, როგორც უვიცი კაცი, ისე უცქერის ამ ნივთიერებას, როგორც მსხვილ სავაჭროს, ნავთს, საპონს, მაზუთს და სხვას, მაგრამ რა მიზეზია რომ ბ-ნი ფ. ი. ტიებოც, ეს ჩვენში დიდად ნაქები მევენახე, უწყობს ხელს? როგორც სჩანს, თუ ბ-ნ ჯანელიძეს გროშები უყვარს, არც ბ-ნ ტიებოს ეჯავრება ფრანკები.

ქუთაისი.

გ. ჩივაძე.

ჟაკმენის სითხე

მაისის პირველ რიცხვებში სოფლად დაგვირიგდა ერთგვარი ბროშიურები **ბ-ნ ტიებოსი,** რომელშიაც დაჟინებით გვირჩევს ვიხმაროთ ვაზებისა, ხეხილებისა და ყველა ბოსტნეულ ავადმყოფობის საწინააღმდეგოდ ყველა სოკო-ობეულობისა, მილდიუ, ოდიუმი, ანტრაკნოზი და სხვა... ანუ ყოველ გვარ მწერეულობისაგან ხეხილზე. „ჟაკმანის" სითხე, რომელიც ძალიან კარგიც არისო და გაცილებით იაფადაც ჯდებაო, ვიდრე შაბიამან-ბოგირდით წამლობა.

ამასთან მოჰყავს ბევრი მაგალითები ამ სითხით წამლობისა როგორც ზოგიერთ დასავლეთ ევროპიის ქვეყნებისა, ისე ქუთაისის ახლო-მახლო მემამულეთა გამოცდილებიდან.

ამ ამბავმა დიდად გვასიამოვნა, მაგრამ რამდენად მართალია, არ ვიცით.

ამისათვის ჩვენ, სოფელ კონდოლის მევენახეთა წრე, ვთხოვთ უმორჩილესად: ქართულ სამეურნეო საზოგადოებას, ფილოქსერის კომიტეტს და მიწათ-მომქმედ სამინისტროს გამოგვირკვიოს და გაგვაგებინოს რამდენად მართალია ეს ამბავი და რამდენად სასარგებლოა ზემოხსენებული „ჟაკმენის სითხე". თუ ზემოხსენებულ დაწესებულებათ ჯერ არ უცდიათ ეს წამალი, კარგი იქნება ამ ზაფხულიდანვე შეუდგნენ მის ცდას, საცდელ ადგილებში ან მესაკუთრეებთან.

ალ. მიხ. ლიონიძე.

კიევის სათვისტომოს გამგეობისაგან

(წერილი რედაქციის მიმართ)

კიევის ქართველ სტუდენტთა სათვისტომო საახალწლოდა და საზაფხულოდ ჰმართავდა ხოლმე ექსკურსიებს, რის მეოხებითაც ყველას შეღავათიან პირობებში უხდებოდა მგზავრობა. თვითოეული სტუდენტი იხდიდა საექსკურსო ბილეთის საფასურზე ორი მანეთით მეტს. ასე რომ სათვისტომოს რჩებოდა თანხა, რომლითაც გაჭირვებულ ამხანაგებს ეხმარებოდა. ეს ჩვეულება ტრადიციად გადაიქცა. 1910—11 წლებში ექსკურსია გამართეს გიორგი ბერიძემ, არჩილ ფურცელაძემ, ნიკ. ჩხეიძემ ჯ შალვა ხახუტაშვილმა. ამ ექსკურსიიდან წმინდად დარჩათ 260 მანეთი, რომელიც ხელ-მოკლე სტუდენტებს უნდა მოჰხმარებოდა. რადგმნაც ექსკურსიის ხელმძღვანელნი ანგარიშის ჩაბარებას არა ჰფიქრობდნენ, საგანგებოდ არჩეულმა კომისიამ მოგონა მოვალეობა. ანგარიში წარმოადგინეს ყველამ, გარდა გიორგი ბერიძისა. პირველთ ფულის გადასახდელად ვადა ითხოვეს, კომისიამ სამჯერ დაუნიშნა ვადა. მიუხედავად ამისა ფული დღემდის არ წარმოუდგენიათ. ბოლოს გიორგი ბერიძემაც წარმოადგინა ანგარიში. აღმოჩნდა, რომ ექსპერსიიდან მას დარჩენოდა 158 მან. 77 კაპ. კომისიამ მოსთხოვა ვალის გადახდა, მაგრამ მან უარი სთქვა, თქვენ არავითარი უფლება არა გაქვთ ფული მომთხოვოთო. მე ვიშრომე, ფულიც ავიღე. როდესაც უნივერსიტეტს გავათავებ, ამ ფულს მაშინ შევწირავ გამგეობასაო.

საჭიროდ მიგვაჩნია აქვე ავღნიშნოთ, რომ გიორგი ბერიძე განსვენებულ სარაჯიშვილის სტიპენდიანტია.

ორიოდე სიტყვა ძველ მოვალეებზედაც. როგორც სხვა ქალაქის სათვისტომოებს, ისე კიევის სათვისტომოს ჰყავს მოვალეები, რომელთაც რომდენჯერმე მივმართეთ თხოვნით, მაგრამ არავინ ყურადღება არ მოგვაქცია. ამიტომ გადავწყვიტეთ მათი ვინაობა გაზეთის საშუალებით ვაუწყოთ ქართველ საზოგადოებას აი მოვალეთა გვარები: 1) არდიშვილი კონსტანტინე (სამხედრო ექიმი)—5 მ., 2) ყანჩელი რევაზ (ვექილი)—30 მ., 3) ქუმსიშვილი იოსებ (მასწავლებელი)—20 მ., 4) ვაჩნაძე მიხეილ (ექიმი)—40 მ.; 5) ქუთათელაძე დავით (მასწავლებელი)—43 მ., 6) შათირიშვილი გიორგი—25 მ.

მოვალეებს უკანასკნელად ვუცხადებთ, რომ თუ პირველ აგვისტომდე არ დაგვაკმაყოფილეს, ვალს სასამართლოს საშუალებით გავინაღდებთ. ამ ზაფხულს ფული გამოიგზავნება ჰემდეგის მისამართით.

Хони. Ш. Д. Чхикишвили.

კიევის სათვისტომოს გამგეობის წევრნი: **შ. ჩხიკიშვილი, დ. ჩხეიძე, ს. თოთიბაძე, ან. კილასონია. და ე. მაჭავარიანი.**

ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები.

კაშგარი. 16 კაცმა კონვენტი შეადგინეს. კონვენტში მკვლელნი და აჯანყების საიდუმლო ხელმძღვანელნი არიან. უკანასკნელნი ანარქისტების მსგავს პარტიის წევრნი არიან. ყველა მოხელე მათი ბრმა იარაღია ეშინიანთ უცხოთა საქმეში ჩარევისა, თორემ ახალი ჯარი, ვინ იცის. რას არ იზამდა.

მუკდენი. მანჯურიის საპოლიციო ჯარის უფროსი, ხუნხუზთა თარეშის გაძლიერების გამო, მთავრობისგან ტყვიის მტყორცნელ ჯარის მიშველებას თხულობს. ჯარს ჯამგირებს დროზე ვერ აძლევენ და ამიტომ დისციპლინა ვერ არის რიგიანი. დუნცინსიანთან ორ ბატალიონს, შეიარაღებული შეტაკება მოუვიდათ, მოკლულია 4 ოფიცერი და 2 ჯა რის-კაცი.

ჩუგუჩაკი. რუსეთის საკუნსულოში საკონსულოს წევრთა თანადასწრებით ურუმციისა და კულჯის დელეგატებს ბჭობა ჰქონდათ. დელეგატები მორიგებულან. წინანდელი დროშები ჩამოხსნეს სახაზინო დაწებულებებსა და რესპუბლიკის დროშები ააფრიალეს. შეთანხმების პირი დელეგატება ურუმციისა და ქულჯის სათათბიროებს გაუგზავნეს განსახილველად.

ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები

პეტერბურგი. იტალიის მთავრობას ყველასათვის აუკრძალავს ეგეის ზღვაზე აღებულ კუნძულებთან ღამღამობით მიახლოება.

სეიმენი. დარდანელის სრუტეში მდგარ გემების აფიცრებსა და მეზღვაურებში მღელვარებაა თურმე, უკმაყოფილონი არიან მთავრობის გაუბედავ მოქმედებისა. ნალმის ჭერის დროს, ერთი პატარა გემი დაიღუპა. მეზღვაურებმა უარი სთქვეს, ველარ ვიმუშავებთო. ძალით ამუშავეს. ამის გამო აფიცრებს გადაეწყვიტნათ, ზღვაზე გავიდეთ და მტერს შევებრძოლოთ, თორემ დისციპლინას ვედარ დავიცავთო. მთავრობას ნები არ მიეცა. შემდეგ გაზეთ „ქააკში", რომელსაც მინისტრ თალაათთან ჰქონია კავშირი, დაუბეჭდიათ წერილი, საზღვაო სამინისტრომ უმოქმედობა გამოიჩინაო. წერილს გამოუწვევია აფიცერთა კრება, სადაც გადაუწყვეტიათ, არქიპელაგისაკენ უნდა გავცურაოთო. საზღვაო მინისტრმა გაზეთ „ქააკის" დაკეტვა მოითხოვა და დარდანელისაკენ გაეშურა. მინისტრთა საბჭოს უმრავლესობა ისევ ლოდინის პოლიტიკას ადგია.

სმირნა. იტალიელთა ორმ ნაღმოსანმა მილოსის კუნძულთან 4 საგაჭრო გემი დაატყვევა.

რომი. დეპუტატთა პალატა. ოსმალეთში მცხოვრებ იტალიელთა დაცვის გამო შეკითხვა შეიტანეს. ილაპარაკა ბარელლამ და აღნიშნა, 1876 წელს, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, [illegible] ინტერესებს სხვანაირად უყურებდაო. მოლაპარაკეს ამის მიზეზად მიაჩნია გერმანელთა სამრეწველო ინტერესები ფინლანდიაში.

სპარსეთის ამბები

დეპეშები.

თავრიზი. სოფუჯბულაყიდან იტყობინებიან, ოსმალნი ქვეითა ჯარს ჰგზავნიან სერჯეთსა და აბანურს, მეორე პოლკს-სულდუზსა და ლახიჯანშიო.

ქოი. რუსეთის კონსული სალმას მიდის. კონსულმა ქრისტიანები, სომხები და აისორები, სპარსელ მემამულეებთან უნდა შეარიგოს.

თავრიზი. სოფუჯბულაყიდან იუწყებიან: აქაურ გუბერნატორს თან და თან ძალა ეცლება, ქურთები და დემოკრატები აღარ ემორჩილებიანო. გადასახადის მოსაგროვებლად გაგზავნილი მხედრები ქურთებმა გამორეკესო.

თავრიზი. შუჯა-უდ-დოულეს ბრძანებით დაუპატიმრებიათ ფიდაების სახელგანთქმული მოქადაგე მირზა-ჰაფარი, რომელიც სპარსულ პროკლამაციებს ავრცელებდა თურმე. მიუხედავად კათოლიკე-მისიონერთა თხოვნისა, მოქადაგე ციხეში ჩასვეს.

თეირანი. მთავრობის ჯარმა ქერმანშაჰი უბრძოლველად აიღო. სალარუდ-დოულე სადღაც გაქცეულა.

დეპეშები

(დეპეშათა ჰეტერბ. საგენტო)

საზღვარ-გარედ

21 მაისი.

ალბანელთა საქმე.

სტამბოლი. შინაგან საქმეთა მინისტრი პალატას დაჰპირდა, ალბანიის ვითარებას მოგიყვებით ერთ-ერთ სხდომაზეო. მინისტრის სიტყვით ალბანელები-სამშობლოს მოტრფიალენი ყოფილან, აქა-იქ ამბოხებას მხოლოდ კერძო ხასიათი აქვსო.

სალონიკი. ალბანეთში 80 ათასი ჯარისკაცი უნდა იყოლიონ. ეხლა ოსმალეთს კოსოვას ვილაეთში 30 ათასი ჯარისკაცი არის. ამიტომ ოსმალებს მოლაპარაკება გაუმართავთ მეამბოხეებთან. 5000 ალბანელი იპეკისაკენ მოდის. ქალაქის გადასარჩენად პრიზრენიდან მიდის ჯარი. ალბანელებს მდ. დრინის ხიდი დაუჭერიათ და ჯარს აღარ უშვებენ.

ინგლისის მუშათა გაფიცვა.

ლონდონი. მუშები თან და თან იწყებენ მუშაობას. გაფიცვის გათავება მაინც ჯერ შორს არის. ნაციონალური აღმასრულებელი კომიტეტი 19 მაისს შეიკრიბება ლონდონის გაფიცვის კომიტეტის მოთხოვნილებათა განსახილველად. ამბობენ, ვერ დაკმაყოფილებენ ყველა მოთხოვნილებასაო.

მთავრობამა და მუშებმა კომისია აირჩიეს და შეიძლება ჩქარა მოეღოს ბოლო გაფიცვასა.

რუსეთი.

ჟურნალის დაჭერა.

პეტერბურგი. დაიჭირეს ჟურნ. „სევერის" ნომერი. რედაქტორს სამართალში აძლევენ 73 ბუხლის ძალით.

სენატ. მანუხინის გამგზავრება.

პეტერბურგი. ირკუტსკს გაემგზავრა ლენის მადნებში მომხდარ ამბის გამოსაძიებლად დანიშნული სენატორი მანუხინი.

გაფიცვა და გაზეთების გაფრთხილება.

პეტერბურგი. ცნობათა მიმცემი ბიურო გაზეთების მიერ გავრცელებულ ხმის გამო, ვითომ დონეცის მხარეს გაფიცვები გახშირებულიყოს და რაიც ტყუილი აღმოჩენილა, შემდეგს იუწყება: ზემოხსენებულმა ამბავმა ბევრი დაღონა და მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებაში. ეს გარემოება გვაიძულებს გაზეთებს მოვაგონოთ ის სიფრთხილე, რაიც აუცილებლად საჭიროა როდესაც საქმე ეხება მშვიდობიანობის დაცვასაო.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. ხუთშაბათს, **ვ. აბაშიძის** მონაწილეობით დასდგამენ **„მზის დაბნელებას"** და **„ლალატი"-ს „მრუდე სარკეს".**

სახაზინო თეატრი. ტფილისში ჩამოვიდა ცნობილი ვ. გ. ზავადსკი, მომღერალთა გუნდით. იგი 1904 წელსაც იყო ტფილისში და საზოგადოების ყურადღება დაიმსახურა. ზავადსკის კონცერტი დანიშნულია სახაზინო თეატრში 27 მაისს.

განცხადებანი

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიანს** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 1

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს, საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ

ქალაქის საუკეთესო ზალა. (ველიამინოვის ქ.) მოძრავ ქონებას მიიღებს **გასასყიდად** და აგრედვე **შესანახად**, მიღებულ ნივთებში იძლევა ხელის მოსაცვლელად 20% ი, ხოლო შენა- 9—3 ფასად აიღებს 2%-სა. დღისით ხვის საათამდის. (25.421.7)

სტუდენტი
მათემატიკოსი
იღებს გაკვეთილებს საზაფხულოდ, ამზადებს განმეორებით ეგზამენებისათვის.
მისამართი; ოლღას ქუჩა, № 54. იკითხეთ იოს. გომართელი.
(3—463—3)

ექიმ ნავასარდიანის
პირველი პერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე
გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606" — 11—12 ს. **შეშხაპუნება**
კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. ვ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. ვ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავად.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1074.53)

შეუშხაპუნა „ჩვენი გემო" კვასი
დღე არ გაივლის ისე, რომ ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა საყვედური არ მითხრან; კვასმა „გემომ" თავისი უწინდელი ღირსება დაჰკარგა და ეს არ უნდა მოგვსვლოდაო. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ჩვენ არავითარი საერთო არა გვაქვს „გემოსთან". ჩვენ როგორც მისმა დამაარსებელმა და მოხელემ გავაუქმეთ ის და მის მაგიერ დავაარსეთ **„ჩვენი გემო"** და თუ „გემოს" სახელით უშვებს ვინმე კვასს, ეს მხოლოდ სიყალბეა. და ამისთვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც აინტერესებს კარგი ღირსების ნადუღი წყლიდან დამზადებული პურის კვასი მოითხოვონ ყველგან **„ჩვენი გემო"** და არ აურიონ ის მის მზგავს ფირმებში.
პატივისცემით **მათე გორგილაძე** და **ამხანაგობა.**
მისამართი: სუდენი ქუჩა სახლი № 6. (20.1096.2)

ყოველ-დღე
მოგვდის:
ახალ-ახალი ხიზილალა (ჯიტკა) 2 მ 40 კ გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეული, და ყოველგვარი გამოსული თევზი
(წ.—1131—64)

ეროვნული
ბიბლიოთეკა
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.

ქ. ფ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
ისყიდება დრამატიული თხზულებანი:

ადამიანის ცხოვრება თარგ.	ფ. 50 კ.	მაკბეტი. ნათ. ი. მაჩაბლისა	„ 40 „
ბედმა მიღალატა. კ. 3 მოქ.	„ 20 „	ნაძირალნი, გორკისა 4 მ.	„ 25 „
ბრძოლა არსებობისათვის. დრ. პოემა, გაბრ.	„ 60 „	ნატვრის თვალი. ნათ. ახნაზ.	„ 40 „
გაყრა, გ. ელისთავისა	„ 5 „	ორი პიესა, ტრ. რ. შეშლილნი, კრიტიკოსთან.	„ 25 „
გამცემი. დრ. 3 მოქ. გედ.	„ 25 „	ორი პიესა, ცხოვრება ბრძოლაა, დრონი ძეფობენ.	„ 50 „
გაღატაკ. ოჯახი, დრ. 3 მ.	„ 10 „	ორი ჯიბგირი. ნათ. აბაშ.	„ 40 „
დემონი. ოპერეტ.	„ 50 „	პანთეონი ქართ. თ.: იკვიანი ვ. 1 მ., ბნელ ოთახში ვ. 1 მ., ახირებულია.	„ 30 „
დარბეულნი. დრ. 4 მოქ.	„ 30 „	ტარტარენ.	„ 40 „
დრამ. თხზ. დ. ელისთავისა	„ 1 მ.— „	საბედისწერო დამბაჩა დ. 3 მ.	„ 25 „
დაღი. დრ. 3 მოქ.	„ 20 „	საღამოს ერთი ცხვირი ხეირია. კომ. 1 მოქ.	„ 10 „
დრამ. ტ. კომ., „სორაია" გამ.	„ 1 მ.— „	საშობლოს ბრუჯნი	„ 10 „
დრამ. თხზ. ცაგარლისა: ერთი ნაბიჯი წინ, ხანუმა, შვენიერი ელენეს მაძიებ., ოინბაზი	„ 50 „	საშეგრ. მთ. ლევან ვ. ყიფ.	„ 40 „
ვაი ჭკუისაგან. გრიბოედ.	„ 35 „	უმარილის ბრალია. კ. 3 მ.	„ 10 „
თანამედროვე პიესები ს. ტარ.: კოცნა ჰირვ. ტ. უკანასკ., ფეხთა მეფე, მწუხარება დედაა სიამოვნებისა, მოხერხებული ადუკანტი.	„ 30 „	ფეიქრები. დრ. 5 მოქ.	„ 50 „
ილიას დღე ჭიათ. ტ. ბატ. ტ. ყმა	„ 20 „	ქრისტინე. დრ. 5 მოქ.	„ 20 „
კენჭის ყრა სცენ. 4 მოქ. ფ.	„ 50 „	ქართული პიესები; უშნო არშიყი, სოფიო, სცენა ქალაქის ცხოვრებიდან.	„ 20 „
მამა-შვილნი, ანუ გუბ. 3 მ.	„ 15 „	ღალატი, ნათ. ყიფშიძისა	„ 50 „
მტარვლის ბედი. დრ. მოქ.	„ 10 „	ღალატი, ნათ. ნ. ავალ.	„ 25 „
მეგობრობა. დრ. 4 მოქ.	„ 30 „	ღალატი. ნათ. კ. მესხისა	„ 25 „
მეზობლები, ტრ. რ. 4 მოქ.	„ 40 „	ცოლი ვიტირო თუ ფულის?	„ 15 „
მოლიერი. დრ. თხზ.	„ 50 „	შვილი უდანაშაულოდ დასჯილისა. დრ. 4 მოქ.	30 „
მარო. დრამის ნაწყვ.	„ 3 „	წყურვილი. დრ. 3 მოქ.	„ 30 „

ადრესი: Тифл. О-во распр. грамотн. сред груз насел. (წ. 1141,48)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ"-ზე
წელიწადი მერვე.
ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.
წლიურ ხელის მოწერა:
24 წიგნი „ნაკადულისა" მცირე წლოვანთათვის; **12 წიგნი** „ნაკადულისა" მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 12-ზე მეტი ორიგინა-
ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.
ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან, ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ, ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Го ованскій про п. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. თმავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის" აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვასო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კოსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიავშვილთან, **გორში** ნინო ლომაურიძთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. თადევოსიანთან.
(წ.—1627—68 წ.) გამომცემელი **თვ. პავლე იოს. ძ ის ძე თუმანიშვილი.**

ს ი ა „სოფლის მამულებისა" გადმოტანილი გაზეთის
მე-16 გვერდიდან.

ფურტელაძენი ივანე ესტატეს ძე და სოფიო მიხეილის ასული: ნაჭერი მიწები, ზომით 222⁷/₁₀ ოთხ. საჟ., საგაბაშვილო ცხინვალის აგარაკში. თავნი ვალი 500 მ. — კ., ნედოიმკა 52 მ. 88 კ.

სვიჩისა ლეონიდა ნიკოლოზის ასული: ვენახი, შენობები და წისქვილი, მიწა ზომით 6 დესეტინა 200 ოთხკუთხი საჟენი, სოფელ საგარეჯოში. თავნი ვალი 1600 მან., ნედოიმკა 91 მან, 13 კ.

სადკოვისა ნატალია ნიკოლოზის ასული: ნაჭერი მიწა, ზომით 1577 ოთხკუთხი საჟენი, საგაბაშვილო-ცხინვალის აგარაკში. თავნი ვალი 2000 მანეთი, ნედოიმკა 94 მან. 80 კ.

ტერ-მარქარიანცი ხაჩატურა არუთინას ძე: ნაჭერი მიწა შენობითურთ ზომით 540 ოთხკუთხი საჟენი, საღორისი-გუდელისის აგარაკში. თავნი ვალი 1200 მანეთი, ნედოიმკა 60 მან. 88 კ.

ხანგანუზოფვები ივანე ტიგრანას ძე, იაკობ, მიხეილ, მნაცაკან და არმენაკ გიორგის ძენი სამი იაჭერი მიწა, ზომით 2 დეს. 474 ოთხკ. საჟ., საბურთალო დელისში. თავნი ვალი 1000 მ. — კ., ნედოიმკა 52 მ. 40 კ.

ჩუმოდანოფი ნიკოლოზ ივანეს ძე: სასახლე მიწები, ზომით 1 დესეტ. 2255 ოთხკ. საჟ., საგაბაშვილო ცხინვალის აგარაკში. თავნი ვალი 800 მ. — კ., ნედოიმკა 125 მან. 60 კაპ.

ბოლის მაზრა.

ამიდახვრისა სოფიო ალექსანდრეს ასული: ვენახი, ზომით 770 ოთხკ. საჟენი, სოფელ ჭალაში. თავნი ვალი 400 მანეთი, ნედოიმკა 93 მან. 60 კ.

ალბაზაძენი ივანე და ირაკლი დავითის ძენი და დესპინე კონსტანტინეს ასული, კარმიდამო და ბაღი, ზომით 160 ოთხკუთხი საჟენი, დაბა სურამში. თავნი ვალი 2000 მან. ნედოიმკა 325 მ.ნ. 65 კ

ქარუმაძე ივანე დავითის ძე: სახნავი მიწები, ზომით 11 დესეტინა, დიდ ხურვალეთის აგარაკში. თავნი ვალი 1200 მან. — კაპ., ნედოიმკა 60 მან. 88 კაპ.

მაჩაბელი ვასილი გიორგის ძე: სხვა და სხვა მიწები, ზომით 7 დესეტინა 1800 ოთხკ. საჟ., სოფელ ძღვირისის ბიდამოებში. თავნი ვალი 5000 მან. — კაპ., ნედოიმკა 318 მან. 80 კაპ.

მაზაევისა აღათია აბრამის ასული: კარმიდამო 869 ოთხკ. საჟ., სარმანისშვილის კარის აგარაკში. თავნი ვალი 1500 მან. — კაპ., ნედოიმკა 86 მან. 74 კაპ.

რატიშვილისა მარიამ სოლომონის ასული: კარმიდამო ზომით 1 დესეტინა 127 ოთხკ. საჟ., დაბა სურამში. თავნი ვალი 6250 მან. — კ., ნედოიმკა 275 მან. — კაპ.

თხორეველისა ალექსანდრა ალექსანდრეს ასული: კარმიდამო ზომით 8 დესეტინა 600 ოთხკ. საჟ., სოფელ სამთავისში. თავნი ვალი 3200 მან. — კაპ., ნედოიმკა 183 მან. 25 კაპ

თარხან-მოურავისა ალექსანდრა გიორგის ასული: ბაღი და ვენახი ზომით 4 დესეტინა 875 ოთხკ საჟ., სოფელ ახალ-ქალაქში. თავნი ვალი 4000 მან. — კაპ., ნედოიმკა 358 მან. 80 კაპ.

თარხან-მოურავისა ელისაბედ ალექსანდრეს ასული: შენობები და ბაღი, ზომით 2 დესეტინა 2103 ოთხკ. საჟ., სოფელ ახალ-ქალაქის აგარაკში. თავნი ვალი 2800 მან. — კაპ. ნედოიმკა 128 მან. 72 კ.

ჩაგჩაგაძისა მარიამ დავითის ასული: სახნავი და საძოვარი, ზომით 214 დესეტინა 1440 ოთხკ. საჟ., საამილახვროს აგარაკში. თავნი ვალი 1500 მან — კაპ., ნედოიმკა 73 მან. 60 კაპ.

ერისთოვი დიმიტრი იაკობის ძე: სახნავი, ზომით 25 დესეტინა, რეხას აგარაკში. თავნი ვალი 1300 მან — კაპ., ნედოიმკა 206 მან, 88 კ

ერისთოვისა მარიამ გიორგის ასული: სხვა და სხვა მიწები, ზომით 253 დესეტინა, გარდათემის აგარაკში. თავნი ვალი 4000 მან. — კ. ნედოიმკა 179 მან. 60 კაპ.

ხილნალის მაზრა.

ვაჩნაძისა თამარ ლევანის ასული: სხვა და სხვა მიწები, ზომით 3 დესეტინა 350 ოთხკ. საჟ., სოფელ მუკუზანში. თავნი ვალი 2000 მან. — კაპ., ნედოიმკა 94 მან. 80 კ.

მაჩაბელისა ელისაბედ ივანეს ასული: ვენახი, ზომით 2 დესეტინა 1990 ოთხკ. საჟ., კარდანახის აგარაკში. თავნი ვალი 2000 მან. — კაპ., ნედოიმკა 94 მან. 80 კ.

ონანო-ვაჩნაძენი სვიმონ და ალექსანდრე სოლომონის ძენი: შენობები და ბაღი, ზომით 3 დესეტინა 1460 ოთხკ საჟ., სოფელ კოლაკში. თავნი ვალი 1600 მან. — კ., ნედოიმკა 77 მან. 84 კაპ.

თელავის მაზრა.

ბახუტაშვილი ვიქტორ კონსტანტინეს ძე: კარმიდამო, ზომით დახლოვებით 2 დესეტინა 700 ოთხკ. საჟ., სოფელ კურდღელაურში. თავნი ვალი 800 მან. — კაპ., ნედოიმკა 112 მან. 58 კაპ., ამას გარდა ითვლება ნედოიმ. განაწილ. რამდ. ნახევარ წელიწადზე 53 მან. 18 კ.

ჯორჯაძენი ევგენია, სოლომონი, მარიამ, ილია, დავით, იასონ, ვახტანგ და როსტომ დავითის ძენი და ასული: სხვა და სხვა მიწები, ზომით 7 დესეტინა 1905 ოთხკ. საჟ., წინანდალის აგარაკში. თავნი ვალი 4000 მან. — კაპ., ნედოიმკა 179 მან. 70 კაპ, ამას გარდა ითვლება ნედოიმ. განაწილ. რამდ. ნახევარ წელიწადზე 174 მან. 70 კ.

რუსიშვილი-ყორჩიბაშეევისა ნატალია სოლომონის ასული: კარმიდამო და ვენახი, ზომით დაახლოვებით 2¼ დესეტინა სოფელ კურდღელაურში. თავნი ვალი 1500 მან — კაპ. ნედოიმკა 394 მ. 70 კ., ამას გარდა ითვლება ნედოიმ. განაწილ. რამდენ. ნახევარ წელიწადზე 401 მან. 98 კ.

ჩერქეზიშვილისა დარია ალექსანდრეს ასული, ბაბაშიძისა თამარ ალექსანდრეს ასული და ერისთავისა ეკატერინე ალექსანდრეს ასული: სხვა და სხვა მიწები, ზომით 7 დესეტინა 390 ოთხკ. საჟ., კურდღელაურის აგარაკში, თავნი ვალი 2000 მან. — კაპ. ნედოიმკა 94 მან 80 კ.

დუშეთის მაზრა.

ბუბუიაშვილისა თამარ ალექსანდრეს ასული: ვენახი, ზომით 1 დესეტინა 500 ოთხკ. საჟ., მუხრანის აგარაკში. თავნი ვალი 8000 მან. — კაპ., ნედოიმკა 349 მან. 20 კ.

ჯანდრატეევისა აგრაფინა ალექსანდრეს ასული ბაღი და შენობები, ზომით 1010 ოთხკ. საჟ., საანანიაშვილოს აგარაკში თავნი ვალი 1600 მან. — კაპ., ნედოიმკა 164 მან. 12 კაპ.

მესიეფ, ბაღი და ვენახი, ზომით 1018 ოთხკ. საჟ., საანანიაშვილოში. თავნი ვალი 400 მან. — კაპ., ნედოიმკა 63 მან. 76 კაპ.

ჩიდიაშვილები კონსტანტინე და გაბრიელ ბარისის ძენი: ვენახი, ზომით 3 დესეტინა 150 ოთხკ. საჟ., ამილახვრიანთ აგარაკში, წრიასა და ქერანაში. თავნი ვალი 2400 მან. — კაპ., ნედოიმკა 111 მან. 76 კაპ.

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო
ბანკის გამგეობა

აცხადებს, რომ ბანკის წესდების მე-14 §-ის ძალით, ბანკის სადგომში (ტფილისი, ფრეიტინის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურთა სახლი, № 11), საჯაროდ გაიყიდება ქვემოდ აღნიშნულ პირთა ის მამულები, რომელიც ამ ბანკშია დაგირავებული, რადგანაც მამულის პატრონთ არ შემოუტანიათ ბანკის წესდების 12, 17, 27, 28, 36 §§-ებით დაწესებული გარდასახადი, 1912 წ. 1 იანვრიდან 1912 წლის 1 ივლისამდე.

გძელვადიან სესხში დაგირავებული მამულები საჯარო ვაჭრობით გაიყიდება: 1) ქალაქის მამულები, ტფილისის ფარგლებში მდებარე, 1912 წ. 19 ივნისს; 2) სხვა ქალაქების ფარგლებში მდებარე მამულები და აგრედვე გრძელვადიან სესხში დაგირავებული ქალაქის მამულები გაიყიდება 1912 წ. 21 ივნისს; 3) სოფლის მამულები მოკლევადიან თუ გრძელვადიან სესხში დაგირავებული და აგრედვე ქალაქის მამულები მოკლევადიან სესხში დაგირავებული გაიყიდება 1912 წ. 23 ივნისს.

თუ აღნიშნულ დღეებში ვაჭრობა არ მოხდა, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-20 §-ის ძალით მოხდება იმავე გამგეობაში 9 ივლისს 1912 წ. ვაჭრობა ბანკის წესდების მე-17 §-ის ძალით, დაიწყება თავნი ვალის იმ დარჩენილ თანხიდან, რომელიც ქვემოდ არის აღნიშნული ბანკის გადასახადის ნედოიმკებისა და აგრედვე სახელმწიფო, საერობო და საქალაქო გადასახადებისა და მათ ნედოიმკების დამატებით.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებისათვის, ვისაც ჰსურს შეისყიდოს ის მამულები, რომელზედაც გრძელვადიანი სესხია გაცემული, აგრედვე მოკლე ვადიან სესხში დაგირავებული მამულები, რომლის ვალის გადახდის ვადა ჯერ არ დამდგარა, მოვალეა წარმოადგინოს ნაღდ ფულად ბე; ბე იმდენი უნდა იყოს, რამდენიც ბანკის გადასახადების ნედოიმკაა, აგრედვე რამდენიც სახელმწიფო, საერობო და საქალაქო გადასახადების ნედოიმკები იქნება ვაჭრობის დღემდე გასასყიდ მამულზე. ხოლო ვისაც იმ მამულების შესყიდვა ჰსურს, რომელზედაც მოკლე ვადიანი სესხია გაცემული და რომლების თავნის ვალის გადახდის ვადა უკვე დადგა, მოვალეა წარმოადგინოს ბედ, გარდა ზემო აღნიშნულისა, კიდევ 10 პროცენტი თავდაპირველის თავნი ვალისა.

დამტკიცების ხარჯი და ის ზედმეტი ფული, რომელიც ვაჭრობაზე შეაძლიეს ბანკს, მყიდველმა უნდა წარმოადგინოს 14 დღის განმავლობაში ვაჭრობის შემდეგ.

თავნი ვალი იმ მამულებისა, რომლებზედაც გრძელ-ვადიანი სესხია გაცემული, აგრედვე იმ მამულებზე, რომელშიაც გაცემულია მოკლე ვადიანი სესხი და ვადაც არ გასვლია, მყიდველს შეუძლიან თავის თავზე გადაიტანოს წინანდელ პატრონის ყველა ვალდებულებით; ხოლო იმ მამულებზე, რომელზედაც მოკლე ვადიანი სესხია გაცემული და ვადა უკვე გაუთავდა დანარჩენი თავნი ვალი სრულიად უნდა იქმნას გადახდილი ნაღდ ფულად 14 დღის განმავლობაში ვაჭრობის შემდეგ.

ბანკის წესდების 15 §-ის ძალით, პატრონს შეუძლიან შემოიტანოს ნედოიმკები ვაჭრობის დღემდე და ამ რიგად გაანთავისუფლოს მამული გაყიდვისაგან.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან გაიცნოს ყველა საქმე სასყიდ მამულების შესახებ ბანკის კანცელარიაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა.

ამასთანავე ბანკის გამგეობა წინდაწინვე უცხადებს მამულების მყიდველთ, რომ ბანკი პასუხს არ აგებს, თუ დაგირავებულ გასასყიდ მამულების პირვანდელი აღწერა არ ეთანხმება მამულების დღევანდელ მდგომარეობას.